

შპს „გამა“

2023 წლის ფინანსური ანგარიშ გეზა

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარღოს ანგარიშგება	4
კაპიტულში ცვლოლებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „გამა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2023-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	31-12-23	31-12-22	31-12-21
		ლარი	ლარი	ლარი
ძირითადი საშუალებები	4	371,235	382,601	113,147
არამატერიალური აქტივები		1,501	2,197	2,956
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		372,737	384,789	116,103
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		99,868	56,584	109,262
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		36,233	35,961	43,873
მარაგები		697,295	1,465,885	621,270
სხვა მიმდინარე აქტივები	5	0	9,934	170,774
სულ მოკლევადიანი აქტივები		833,396	1,558,430	945,179
სულ აქტივები		1,206,132	1,953,162	1,061,282
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		0	0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები		4,762	6,110	20,492
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		126,147	252,604	117,775
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6	670,137	1,245,833	682,490
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		801,046	1,504,547	820,757
სულ ვალდებულებები		801,046	1,504,547	820,757
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		0	0	0
გაუნაწილებელი მოგება		405,086	448,615	240,525
გადაფასების რეზერვი		0	0	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი		405,086	448,615	240,525
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,206,132	1,953,162	1,061,282

შპს „გამა“-ს

დირექტორი დავით შუბითიძე _____

შპს „გამა“

მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2023 - 31.12.2023 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2023 ლარი	2022 ლარი
ამონაგები	7	3,419,393	3,526,256
ამონაგების თვითღირებულება		(2,523,376)	(2,623,773)
საერთო მოგება		896,017	902,483
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(846,870)	(511,451)
ფინანსური ხარჯი/შემოსავალი	9	(29,288)	(35,471)
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	10	(3,247)	6,709
მოგება დაბეგვრამდე		16,612	362,270
მოგების გადასახადი		(9,021)	(23,127)
წმინდა მოგება/ზარალი		7,591	339,143

შპს „გამა“-ს

დირექტორი დავით შუბითიძე _____

შპს „გამა“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2023 - 31.12.2023

პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლრი	სარეზერვო კაპიტალი ლრი	გაუნაწილებელ მოგება ლრი	ჯამი ლრი
პერიოდის მოგება	-	-	(38,499)	(38,499)
ნაშთი - 31.12.2021	-	-	240,525	240,525
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	(131,053)	(131,053)
პერიოდის მოგება	-	-	339,143	339,143
ნაშთი - 31.12.2022	-	-	448,615	448,615
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	(51,120)	(51,120)
პერიოდის მოგება	-	-	7,591	7,591
ნაშთი - 31.12.2023	-	-	405,086	405,086

შპს „გამა“-ს

დირექტორი დავით შუბითიძე _____

შპს „გამა“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი

შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გამა“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 05/08/2010). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, გამსახურდიას გამზ. N34/ ალ.ყაზბეგის გამზ. N2. მისი ძირითადი საქმიანობაა წყალგაყვანილობის, გათბობის და ჰაერის კონდიცირების სისტემების სამონტაჟო სამუშაოების წარმოება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6894	2.7020	3.0976
1 ევრო/ლარი	2.9753	2.8844	3.5040

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის/მომსახურეობის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურეობა მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი
- სატრანსპორტო საშუალებები 10 – 20 პროცენტი
- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 10 – 30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და

ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3 . ცვლილებები წარდგენაში

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წინა წლის ანგარიშგებაში უზუსტობები არ აღმოჩენილა, რის გამოც შესწორებული ან რეკლასიფიცირებული არ არის შესადარისი პერიოდის არც ერთი მუხლი.

4. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი
პერიოდი 01/01/2021	-	101,637	10,001	10,368
შემოსვლა	-	13,290	1,078	9,811
ცვეთა	-	(23,902)	(2,852)	(6,286)
ჩამოწერა	-	-	-	-
პერიოდი 31/12/2021	-	91,025	8,227	13,893
პერიოდი 01/01/2022	-	91,025	8,227	13,893
შემოსვლა	280,508	-	16,439	23,792
ცვეთა	(11,911)	(25,518)	(5,292)	(8,562)
ჩამოწერა	-	-	-	-
პერიოდი 31/12/2022	268,597	65,507	19,374	29,123
პერიოდი 01/01/2023	268,597	65,507	19,374	29,123
შემოსვლა	-	40,002	1,854	3,527
ცვეთა	(12,857)	(27,410)	(5,474)	(11,009)
ჩამოწერა	-	-	-	-
პერიოდი 31/12/2023	255,741	78,099	15,754	21,641

5. სხვა მიმდინარე აქტივები

	2023	2022	2021
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	-	9,934	170,774
საგადასახადო აქტივი	-	-	-
მისაღები პროცენტები	-	-	-
სულ	0	9,934	170,774

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2023	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები	227,826	457,839	221,590
მიღებული ავანსები	442,311	787,994	460,900
სხვა ვალდებულებები	-	-	-
სულ	670,137	1,245,833	682,490

7. ამონაგები

	2023	2022
ამონაგები	3,419,393	3,526,256
სულ	3,419,393	3,526,256

8. ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
დასაქმებულთა ანაზღაურება	(684,551)	(348,782)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(54,259)	(52,042)
იჯარის ხარჯი	(27,915)	(16,475)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	(22,724)	(34,506)
საპენსიო ფონდი	(13,932)	(7,807)
საგადასახადო ხარჯი	(3,743)	(2,441)
საბანკო ხარჯი	(2,595)	(4,018)
სამეურნეო ხარჯი	(707)	(484)
დაზღვევის ხარჯი	(7,271)	(18,778)
მივლინების ხარჯი	(16,534)	(20,117)
სხვადასხვა მომსახურების ხარჯი	(6,000)	(0)
საკონსულტაციო ხარჯი	(6,000)	(6,000)
სხვა ხარჯი	(639)	(0)
სულ	(846,870)	(511,451)

9. ფინანსური ხარჯი/შემოსავალი

	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	(29,288)	(35,471)
სულ	(29,288)	(35,471)

10. არასაოპერაციო მოგება/ზარალი

	2023	2022
საკურსო სხვაობა	(3,247)	(2,092)
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-	8,801
სულ	(3,247)	6,709

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2024 წლის 10 ივნისს.